ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №15

2015 წლის 27 აგვისტო

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს 397 (სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საფინანსო სამსახურმა ყოველი თვის 20 რიცხვში უზრუნველოს საკრებულოს წევრების, რომლებიც არ არიან საკრებულოს თანამდებობის პირები უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ოქტომბრის N19 დადგენილება.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**